1. ხობის მუნიციპალიტეტის შუა ხორგის თემში არსებულ ქუჩებს, თანდართულ ორთოფოტოზე მონიშნული ქუჩების შესაბამისად, ეწოდოს შემდეგი სახელები:

- ა) „01 ქუჩას“ - ზვიად დათუაშვილის სახელი;
- ბ) „02 ქუჩას“ - შოთა რუსთაველის სახელი;
- გ) „03 ქუჩას“ - წმინდა გიორგის სახელი;
- დ) „04 ქუჩას“ - აკაკი წერეთლის სახელი;
- ე) „05 ქუჩას“ - ნოდარ დუმბაძის სახელი;
- ვ) „06 ქუჩას“ - ცოტნე დადიანის სახელი;
- ზ) „07 ქუჩას“ - კონსტანტინე გამსახურდიას სახელი;
- თ) „08 ქუჩას“ - წმინდა ნინოს სახელი;
- ი) „09 ქუჩას“ - მერაბ კოსტავას სახელი;
- კ) „10 ქუჩას“ - თავისუფლების სახელი;
- ლ) „11 ქუჩას“ - თამარ მეფის სახელი;
- მ) „12 ქუჩას“ - ვაჟა-ფშაველას სახელი;
- ნ) „13 ქუჩას“ - დავით აღმაშენებლის სახელი;
- ო) „14 ქუჩას“ - ილია ჭავჭავაძის სახელი.

2. ხობის მუნიციპალიტეტის შუა ხორგის თემში არსებული ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე შესახვევებს, თანდართულ ორთოფოტოზე მონიშნული შესახვევების შესაბამისად, ეწოდოს შემდეგი სახელები:

- ა) „01 ქუჩის 01 შესახვევს“ - ზვიად დათუაშვილის I შესახვევი;
- ბ) „01 ქუჩის 02 შესახვევს“ - ზვიად დათუაშვილის II შესახვევი.

3. ხობის მუნიციპალიტეტის შუა ხორგის თემში არსებული ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე ჩიხებს, თანდართულ ორთოფოტოზე მონიშნული ჩიხების შესაბამისად, ეწოდოს შემდეგი სახელები:

- ა) „01 ქუჩის 01 ჩიხს“ - ზვიად დათუაშვილის I ჩიხი;
- ბ) „03 ქუჩის 01 ჩიხს“ - წმინდა გიორგის I ჩიხი;
- გ) „03 ქუჩის 02 ჩიხს“ - წმინდა გიორგის II ჩიხი;
- დ) „03 ქუჩის 03 ჩიხს“ - წმინდა გიორგის III ჩიხი.

4. დაევალოს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას, ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შესაბამისი თანხების მოძიება და ქუჩების სახელდებათა მაჩვენებლების დამზადება.

5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ზვიად დათუაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 30 მარტის N119 განკარგულება.


4. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში. (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3)

საკრებულოს თავმჯდომარე

მამუკა ქარდავა

ხობის მუნიციპალიტეტის შუა ხორგის თემის ორთოფოტო



წმინდა გიორგის ქუჩა

კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩა

წმინდა ნინოს ქუჩა

წმინდა გიორგის II ჩიხი

წმინდა გიორგის III ჩიხი

თავისუფლების ქუჩა

ზვიად დათუაშვილის II შესახვევი

ზვიად დათუაშვილის I შესახვევი

შოთა რუსთაველის ქუჩა

ილია ჭავჭავაძის ქუჩა

ცოტნე დადიანის ქუჩა

წმინდა გიორგის I ჩიხი

ზვიად დათუაშვილის ქუჩა

ნოდარ დუმბაძის ქუჩა

ზვიად დათუაშვილის I ჩიხი

აკაკი წერეთლის ქუჩა

მერაბ კოსტავას ქუჩა

თამარ მეფის ქუჩა

ვაჟა-ფშაველას ქუჩა

დავით აღმაშენებლის ქუჩა

საკრებულოს თავმჯდომარე

მამუკა ქარდავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N30

2013 წლის 30 მაისი

ქ. ხობი

**ქალაქ ხობის ცენტრალური ბიბლიოთეკისთვის თედო სახოკიას
სახელის მინიჭების შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა ა(ა)იპ „ხოზის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ დირექტორის 2013 წლის წლის 22 მაისის N126 წერილის თანახმად:

1. ქალაქ ხობის ცენტრალურ ბიბლიოთეკას ეწოდოს ხობის რაიონის მკვიდრის, გამოჩენილი მწერლის, მთარგმნელის, ეთნოგრაფის და საზოგადო მოღვაწის თედო სახოკიას სახელი.
2. დაევალოს ა(ა)იპ „ხოზის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრს“ (ბ. ნადარაია) სახელწოდების აღმნიშვნელი წარწერის დამზადება.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით ფოთის საქალაქო სასამართლოში. (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3)

საკრებულოს თავმჯდომარე

მამუკა ქარდავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N31

2013 წლის 30 მაისი

ქ. ხობი

**ხოზის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი განათლების 2013-2018 წლების
სტრატეგიის დამტკიცების შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და ა(ა)იპ „ხოზის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ დირექტორის 2013 წლის 16 მაისის N215 წერილის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი განათლების 2013-2018 წლების სტრატეგია თანახმად დანართისა.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

მამუკა ქარდავა

**ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი განათლების
 2013-2018 წლების სტრატეგია**

1. შესავალი

ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი განათლების სტრატეგია ეყრდნობა სკოლამდელი განათლებისა და აღზრდის ეროვნულ მიზნებსა და სტანდარტებს. სტრატეგიის მიზანია ხელი შეუწყოს ბავშვთა ინტელექტუალურ, ფიზიკურ განვითარებას, შემეცნებითი და შემოქმედებითი უნარების ფორმირებას, შექმნას აღზრდისა და განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემო. სკოლამდელმა განათლებამ გავლენა მოახდინოს ბავშვის სწორ განვითარებასა და სოციალურად ჯანსაღი პიროვნების ჩამოყალიბებაზე, მოამზადოს აღსაზრდელი სასკოლო განათლების შემდეგი ეტაპისათვის.

2. პროფილი

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 10 ივლისის N10 განკარგულებით შეიქმნა ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება“, რომლის მოღვაწეობა მიმართულია სკოლამდელი აღზრდის ძირითადი ამოცანების რეალიზებისკენ:

- ა) ბავშვების ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის შენარჩუნება;
- ბ) თითოეული ბავშვის ინტელექტუალური და პიროვნული განვითარება, მისი ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით;
- გ) ადგილობრივი თვითმმართველობის, პედაგოგების, ბავშვებისა და მათი მშობლების თანამშრომლობა აღზრდის, სწავლებისა და განვითარების მიზნების მიღწევის საქმეში;
- დ) ბავშვთან ობიექტური, სამართლიანი და გულისხმიერი ურთიერთობის დამყარება, რაც გულისხმობს პატივისცემას მისი ინდივიდუალური ინტერესებისადმი;
- ე) სკოლამდელი აღზრდის პროცესში ადრეულ ასაკში სწავლებისა და განვითარების სტანდარტების გათვალისწინება მისაღწევი შედეგებითა და შესაბამისი ინდიკატორებით.


ხობის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი განათლების სტრატეგია

1. ანოტაცია

- ხობის მუნიციპალიტეტი შედგება 21 ტერიტორიული ერთეულისაგან.
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს 56 დასახლებული პუნქტი.
- მოსახლეობის რაოდენობაა - 39 657 (2013 წლის მონაცემით)
- ბავშვთა რაოდენობა

წელი	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
რაოდენობა	612	730	760	926	864	935	1014


- მუნიციპალური ბაღის რაოდენობა - 29.
 - ამჟამად ალტერნატიული ბაღის რაოდენობა -1 (იხსნება ახალსოფელში 23 აღსაზრდელოზე).
- 2012 წლის მაისიდან არასამთავრობო ორგანიზაცია „კვიტას გეორგიკასა“ და პოლონური



ორგანიზაცია „ედუკატორის“ ერთობლივი დახმარებით მუნიციპალიტეტის ორ თემში (ხეთა და საჯიჯაო) გაიხსნა ორი ალტერნატიული ჯგუფი.

- სკოლამდელი ასაკის ბავშვების რაოდენობა - 269
- ბაღებში დასაქმებულთა რაოდენობა

წელი	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
რაოდენობა	154	219	240	267	192	193	163




- ბაღების მატერიალურ-ტექნიკური ბაზები აკმაყოფილებს მინიმალურ სასტარტო პირობებს და მათი ფოკუსი ძირითადად მიმართულია ბავშვთა განათლებაზე.
- ჰიგიენური პირობები და უსაფრთხოება დაცულია.
- პედაგოგებს გავლილი აქვთ ტრენინგები. მათი კვალიფიკაცია აკმაყოფილებს სტანდარტებსა და ნორმებს.

- 2013 წელს ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი შეადგენს - 6 056 900 ლარს
- ხოლო სკოლამდელი სააღმზღველო გაერთიანების ბიუჯეტი შეადგენს - 836697 ლარი

გაერთიანების ბიუჯეტი:

წელი	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
რაოდენობა	660817	890035	945701	1159670	572000	590800	836697



- აღსაზრდელთა დღიური კვების თანხა (ლარებში)

წელი	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
რაოდენობა	1.00ლ.	1.50ლ	1.50ლ	1.50ლ	1.00ლ	1.30ლ	1.20ლ
კვება				ორჯერადი	ორჯერადი	სამჯერადი	სამჯერადი

➤ აღსაზრდელთა მშობლების შენატანი (ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის N59 განკარგულება) თვეში განისაზღვრება შემდეგი ოდენობით:

- ა) ქალაქ ხობის ბაღებისათვის - 20 ლარი;
- ბ) სოფლის ბაღებისათვის - 15 ლარი;
- გ) სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, რომელთაც სოციალური სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვთ 57 ათასიდან 70 ათასამდე სარეიტინგო ქულა - 5 ლარი;

აღსაზრდელთა მშობლის შენატანისაგან განთავისუფლებულნი არიან შემდეგი კატეგორიის ოჯახები:

- ა) სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა 57 ათასამდეა;
- ბ) მრავალშვილიანი ოჯახიდან ერთი აღსაზრდელი.

➤ მშობელთა შენატანი სულ თვეში შეადგენს - 110 385 ლარს.

➤ მშობლები აქტიურად არიან ჩართულნი ბაღების მუშაობაში. მათთან თანამშრომლობით ხორციელდება ბავშვზე საბავშვო ბაღის პოზიტიური ეფექტის გაგრძელება;

3. ხედვა

ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას შესაძლებლობა აქვს მიიღოს არსებული სკოლამდელი განათლების სტანდარტების შესაბამისი მომსახურება 29 სტრუქტურულ

ერთეულში, იგეგმება გაიხსნას საბავშვო ბაღი სოფელ შავლელეში, გაიხსნას დამატებითი ჯგუფები საბავშვო ბაღებში; პედაგოგები არიან ახალი მეთოდოლოგიით გადამზადებულნი; თითოეული ბავშვი სააღმზრდელო ჯგუფის დასრულების შემდეგ მზადაა სასკოლოდ; განვითარებული აქვს სოციალურ-ემოციური, შემეცნებითი, ფიზიკური, სამეტყველო უნარ-ჩვევები. მშობლები სარგებლობენ ალტერნატიული სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის მომსახურებით.

4. SWOT - ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
1. სოციალურად დაუცველი ოჯახების მხარდამჭერი მუნიციპალური პროგრამა;	1. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის მდგომარეობის გაუმჯობესება
2. სკოლამდელი განათლების დაწესებულების მზაობა ითანამშრომლონ და მაქსიმალურად ჩართონ მშობლები სააღმზრდელო პროცესში.	2. ზოგიერთი აღმზრდელის არასაკმარისი კვალიფიკაცია.
3. ბავშვთა კონტიგენტის ზრდა	

შესაძლებლობები	საფრთხეები
1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცემული ლიტერატურის ხელმისაწვდომობა თითოეულ აღმზრდელ მასწავლებლისათვის.	1. აღსაზრდელთა კონტიგენტის ზრდა
2. სკოლამდელი განათლების ალტერნატიულ ცენტრებთან თანამშრომლობა	2. მშობელთა დაბალი აქტიურობა

5. სტრატეგიული მიმართულებები და ამოცანები

I. **სტრატეგიული მიზანი** - აღსაზრდელთა ფიზიკური და გონებრივი განვითარების ხელშეწყობა, ცოდნისა და უნარ-ჩვევების ამაღლება

ამოცანები:

1.1 სკოლამდელი განათლების ახალი პროგრამებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების ბაზაზე ერთიანი სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამისა და მეთოდოლოგიის შემუშავების, დანერგვისა და სრულყოფის ხელშეწყობა;

1.2 აღსაზრდელთა ფიზიკურ-მოტორული შესაძლებლობების განვითარება;

1.3 აღსაზრდელთა კომუნიკაბელური/სოციალური უნარ-ჩვევების განვითარება; უფროსებთან და თანატოლებთან ეფექტური ურთიერთობების დამყარება;

1.4 თვითმომსახურების, ჰიგიენური და კულტურული უნარ-ჩვევების განვითარება; წესრიგისა და სისუფთავის ნორმების დაცვა;

1.5 კულტურული მემკვიდრეობის და ეროვნული ტრადიციებისადმი პატივისცემის ამაღლება;

1.6 აღსაზრდელთა გონებრივი განვითარების ხელშეწყობა ინტერაქტიული თამაშების მეშვეობით; მათი დაინტერესება ტექნიკით;

1.7 ასაკის გათვალისწინებით სააღმზრდელო ჯგუფებში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის მაღალ დონეზე წარმართვა;

- 1.8 საკუთარი ღირებულების შეგრძნების და საკუთარი პოტენციალის რწმენის გაღვიძება;
- 1.9 არსებობისა და პასუხისმგებლობის რეალიზაცია;
- 1.10 ბუნებრივი მოვლენების შესახებ ბავშვის ცნობიერების ამაღლება და საფრთხეებისგან თავის დაცვის მექანიზმების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
- 1.11 აღსაზრდელთა ინფორმირება მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს შესახებ;

II. სტრატეგიული მიზანი - ინკლუზიური ბავშვები

ამოცანები:

- 2.1 საბავშვო ბაღებში ინკლუზიური სწავლების მეთოდის დანერგვა;
- 2.2 ყველა ტიპის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების ჩართვა სასწავლო პროცესში;
- 2.3 ინკლუზიური აღსაზრდელისათვის შესაფერისი ინფრასტრუქტურის შექმნა.

III. სტრატეგიული მიზანი - სკოლამდელ დაწესებულებებში ჰიგიენური ნორმებისა და უსაფრთხოების გაუმჯობესება

ამოცანები:

- 3.1 სკოლამდელი დაწესებულებებისა და მათი ეზოების დალაგება-დასუფთავება;
- 3.2 სველი წერტილების კეთილმოწყობა;
- 3.3 კვების ბლოკების მოწესრიგება სანიტარული ნორმების დაცვით;
- 3.4 არსებული სახანძრო უსაფრთხოებისათვის საჭირო ინვეტარის საჭიროების შემთხვევაში გამოყენება.

IV. სტრატეგიული მიზანი - გარემო პირობების გაუმჯობესება

ამოცანები:

- 4.1 ბაღების ინვენტარიზაცია;
- 4.2 ბაღების სასწავლო ინვენტარით აღჭურვა;
- 4.3 ბაღების შენობა-ნაგებობების რემონტი;
- 4.4 ბაღებში ღია სათამაშო და სპორტული მოედნების მოწყობა და საჭირო ინვენტარით აღჭურვა.

V. სტრატეგიული მიზანი - მშობლების ჩართულობა საბავშვო ბაღების ცხოვრებაში

ამოცანები:

- 5.1 მშობლებისათვის სააღმზრდელი დაწესებულებებში სასწავლო-სააღმზრდელი პროცესების სრულყოფილად გაცნობის მიზნით მეტი ინფორმაციის მიწოდება;
- 5.2 ღონისძიებებში მშობელთა აქტიური ჩართვა;
- 5.3 მშობელთა გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგების გათვალისწინება შემდგომ საქმიანობაში.

VI. სტრატეგიული მიზანი - სკოლამდელი აღზრდის ალტერნატიული ჯგუფების შექმნა

ამოცანები:

- 6.1 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღსაზრდელთა არსებული მონაცემების შეგროვება;
- 6.2 კვლევის საფუძველზე ალტერნატიული ცენტრების შექმნა და მათი საქმიანობის ხელშეწყობა.

VII. სტრატეგიული მიზანი - სკოლამდელი განათლების მონიტორინგის სისტემის დანერგვა

- 7.1 მუნიციპალიტეტის დასახლებაში საჭირო კვლევების ჩატარება და ინფორმაციის მოპოვება;
- 7.2 მუნიციპალური ბაღების ერთიანი მონიტორინგის სისტემის დანერგვა.

შედეგები

სტრატეგიის განხორციელების საბოლოო მიზანია ბავშვის განვითარებაში მიღწეულ იქნას შემდეგი შედეგები:

1. სოციალურ-ემოციური განვითარება

- ა) ბავშვი ცნობიერების განვითარებას იწყებს, აქვს დადებითი წარმოდგენა საკუთარ თავზე, საკუთარი თავის რწმენა და შესწევს უნარი დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება;
- ბ) ბავშვს იმდენად აქვს განვითარებული სოციალური უნარები, რომ შეუძლია მოაგვაროს უთანხმოება თანატოლებთან და უფროსებთან; შეუძლია მონაწილეობა მიიღოს როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ თამაშებში; განვითარებული აქვს თანაგრძნობის უნარი; შეუძლია საკუთარი არჩევანის, სურვილების, დამოკიდებულებებისა და განცდების გასაგები და მისაღები ფორმით გამოხატვა.

2. ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება

- ა) იმდენად არის განვითარებული ფიზიკურად, რომ შეუძლია სხეულის მოძრაობის მართვა, ზუსტი მოძრაობების შესრულება;
- ბ) იცავს უსაფრთხოების მარტივ წესებს;
- გ) იცავს პირად ჰიგიენას და აქვს თავის მოვლის უნარ-ჩვევები, ასრულებს ჯანსაღი ცხოვრების წესებს.

3. შემეცნებითი განვითარება

- ა) ბავშვი იწყებს იმ ღირებულებების გაცნობასა და გათავისებას, რომლებზეც დაფუძნებულია მისი გარემომცველი საზოგადოების ცხოვრება; იცნობს საკუთარ კულტურულ მემკვიდრეობას, ასევე იცის, რომ არსებობს სხვა კულტურები და შესაბამისად პატივს სცემს მათ.
- ბ) იმდენად აქვს განვითარებული შემეცნებითი უნარები, რომ მზად არის დაეუფლოს წერა-კითხვას; განვითარებული აქვს დროითი, სივრცითი და რაოდენობრივი წარმოდგენები, ასევე ყურადღება, მახსიერება; არის დაკვირვებული, შეუძლია საქმიანობის პროცესში მარტივი დასკვნის გამოტანა და პრობლემის გადაჭრა; აქვს ზოგადი ცოდნა სამყაროს შესახებ.

4. მეტყველების განვითარება

- ა) იმდენად აქვს განვითარებული სამეტყველო უნარები, რომ შეუძლია სახელმწიფო ენაზე გასაგებად ჩამოაყალიბოს საკუთარი აზრი და გაიგოს სხვისი ნათქვამი; აქვს მოსმენის ელემენტარული კულტურა;
- ბ) გამოხატავს ინტერესს ნაბეჭდი გამოცემების მიმართ, აქვს მათი აღქმის უნარი და იცის რისთვის არის ისინი განკუთვნილი; წერილობითი სიმბოლოების მიმართ ამჟღავნებს ინტერესს და იცის მათი დანიშნულება.

5. სწავლისადმი მიდგომა

- ა) არის ცნობისმოყვარე, შემოქმედებითი, აქტიური და ლაღი; სიამოვნებს თამაში და ახალი გამოცდილების მიღება;
- ბ) უვითარდება ინფორმაციის გადამუშავების უნარი.



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N32

2013 წლის 30 მაისი

ქ. ხობი

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის

დამოუკიდებელი აუდიტის ჩატარების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად:

1. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების 2012 წლის საქმიანობის აუდიტორული შემოწმების მიზნით მოწვეულ იქნეს დამოუკიდებელი აუდიტი.
2. დაევალოს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას (კ. ბენიძე) კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად დამოუკიდებელი აუდიტის მოწვევა.
3. დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ მომზადებული ანგარიში და დასკვნა საკრებულოს თავმჯდომარის (მ. ქარდავა) მიერ წარედგინოს საკრებულოს.
4. დაევალოს საკრებულოს აპარატს (ლ. შამათავა) დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ მომზადებული ანგარიშის და დასკვნის სახელმწიფო აუდიტის სამსახურში გადაგზავნა და გამოქვეყნების უზრუნველყოფა.
5. განკარგულება ძალაში მიღებისთანავე.
6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით ფოთის საქალაქო სასამართლოში. (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3)

საკრებულოს თავმჯდომარე

მამუკა ქარდავა



ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N33

2013 წლის 30 მაისი

ქ. ხობი

**„საწვავისა და ფიჭური სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 28 თებერვლის N8 განკარგულებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად:

1. „საწვავისა და ფიჭური სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 28 თებერვლის N8 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების დანართი N2 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი N2
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2013 წლის 28 თებერვლის N8 განკარგულებისა

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის საწვავის ხარჯების ლიმიტი

N	მხარჯავი სუბიექტების დასახელება	ლიმიტი თვეში (ლიტრი)		ლიმიტი წელიწადში (ლიტრი)	
		ბენზინი	დიზელი	ბენზინი	დიზელი
1.	გამგებელი	1000	-	12000	-
2.	გამგებლის მოადგილეები, მათ შორის:	600	300	7200	3600
	გამგებლის მოადგილე (ეკონომიკისა და საფინანსო-საბიუჯეტო საკითხებში)	-	300	-	3600
	გამგებლის მოადგილე (შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და კულტურის საკითხებში)	300	-	3600	-
	გამგებლის მოადგილე (მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების საკითხებში)	300	-	3600	-
3.	გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური	200	-	2400	-
4.	გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური	300	-	3600	-
5.	გამგეობის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახური	-	390	-	4680
6.	გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახური	350	290	4200	3480
7.	სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების შესრულების	-	200	-	2400

	კონტროლის ჯგუფი				
8.	მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოები	1100	-	13200	-“

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

მამუკა ქარდავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N34

2013 წლის 30 მაისი

ქ. ხობი

„ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 აპრილის N24 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 აპრილის N24 განკარგულების N2 დანართიდან ამოღებულ იქნეს მე-4 პუნქტი.

2. განკარგულება ძალაში შეიდეს გაცნობისთანავე.

3. განკარგულება შიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ფოთი აღმაშენებლის ქ.№3)

საკრებულოს თავმჯდომარე

მამუკა ქარდავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N35

2013 წლის 30 მაისი

ქ. ხობი

„ხოზის მუნიციპალიტეტის გურიფულის თემის ტერიტორიაზე არსებულ ქუჩებზე განთავსებული ობიექტებისთვის ნუმერაციის მინიჭების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 8 სექტემბერის N83 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. „ხოზის მუნიციპალიტეტის გურიფულის თემის ტერიტორიაზე არსებულ ქუჩებზე განთავსებული ობიექტებისთვის ნუმერაციის მინიჭების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 8 სექტემბერის N83 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულებით დამტკიცებულ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე გურიფულის მისამართების რეესტრს (დანართი 4) დაემატოს „III ქუჩაზე“ განთავსებული ობიექტების ნუმერაცია შემდეგი სახით:

„მეორე გურიფული III ქ. N 15

მეორე გურიფული III ქ. N 17

მეორე გურიფული III ქ. N 19“

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

მამუკა ქარდავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N36

2013 წლის 27 ივნისი

ქ. ხობი

ფრაქცია „ქართული ოცნება - რესპუბლიკელების“ რეგისტრაციის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 25 დეკემბრის N109 დადგენილების შესაბამისად:

1. ცნობად იქნეს მიღებული ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2013 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-რესპუბლიკელების“ რეგისტრაციის თაობაზე.

2. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-რესპუბლიკელების“ თავმჯდომარის ლაშა ცატავას თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს საკრებულოს მიერ საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარისთვის დადგენილი თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

მამუკა ქარდავა



**ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N37
2013 წლის 27 ივნისი
ქ. ხობი**

**ხოზის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის
დამტკიცების შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა თანახმად დანართისა.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

მამუკა ქარდავა

ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტი

N	ქონების დასახელება	სარეგისტრაციო ნომერი	გამოშვების წელი	ფერი	ტიპი	საწყისი საბალანსო ღირებულება (ლარი)	დარიცხული ცვეთა	ნარჩენი საბალანსო ღირებულება (ლარი)	აუდიტორული შეფასება (ლარი)
1	ავტომანქანა „ფორდიქსფროულერი“	SDS-507	1998	შავი	მსუბუქი მაღალი გამავლობის	19900	13643	6527	4243

საკრებულოს თავმჯდომარე

მამუკა ქარდავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N38

2013 წლის 27 ივნისი

ქ. ხობი

**ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისათვის ხობის მუნიციპალიტეტის
საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის
მიცემის შესახებ**

1. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე, თანახმად დანართისა.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ფოთი აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

მამუკა ქარდავა

სარგებლობის უფლებით გადასაცემი ხოზის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში

N	მისამართი	დანიშნულება	ფართი (კვ.მ)	განკარგვის ფორმა	მფლობელი
1	ქ. ხოზი ცოტნე დადიანის ქუჩა (საცურაო აუზი)	არასაცხოვრებელი	333	უზუფრუქტი	ა(ა)იპ ხოზის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „კოლხეთი“

საკრებულოს თავმჯდომარე

მამუკა ქარდავა



**ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N39
2013 წლის 27 ივნისი
ქ. ხობი**

**ხოზის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის თემის ტერიტორიაზე არსებულ ქუჩებზე განთავსებული
ობიექტების ნუმერაციის შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის თემის ტერიტორიაზე არსებულ ქუჩებზე განთავსებული ობიექტების ნუმერაცია თანდართული ორთოფოტოებისა და მისამართების რეესტრის შესაბამისად.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).


საკრებულოს თავმჯდომარე

მამუკა ქარდავა

ხოზის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის თემის ორთოფოტო (I ნაწილი)



ხოზის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის თემის ორთოფოტო (II ნაწილი)



ხოზის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის თემის მისამართების რეესტრი

ახალსოფლის თემი; 01 ქუჩა N1
ახალსოფლის თემი; 01 ქუჩა N10
ახალსოფლის თემი; 01 ქუჩა N100
ახალსოფლის თემი; 01 ქუჩა N101
ახალსოფლის თემი; 01 ქუჩა N102
ახალსოფლის თემი; 01 ქუჩა N103
ახალსოფლის თემი; 01 ქუჩა N104
ახალსოფლის თემი; 01 ქუჩა N105
ახალსოფლის თემი; 01 ქუჩა N106
ახალსოფლის თემი; 01 ქუჩა N107
ახალსოფლის თემი; 01 ქუჩა N108
ახალსოფლის თემი; 01 ქუჩა N109
ახალსოფლის თემი; 01 ქუჩა N11
ახალსოფლის თემი; 01 ქუჩა N110
ახალსოფლის თემი; 01 ქუჩა N111
ახალსოფლის თემი; 01 ქუჩა N112
ახალსოფლის თემი; 01 ქუჩა N113
ახალსოფლის თემი; 01 ქუჩა N114
ახალსოფლის თემი; 01 ქუჩა N115
ახალსოფლის თემი; 01 ქუჩა N116
ახალსოფლის თემი; 01 ქუჩა N117
ახალსოფლის თემი; 01 ქუჩა N118
ახალსოფლის თემი; 01 ქუჩა N119
ახალსოფლის თემი; 01 ქუჩა N12
ახალსოფლის თემი; 01 ქუჩა N120
ახალსოფლის თემი; 01 ქუჩა N121
ახალსოფლის თემი; 01 ქუჩა N122
ახალსოფლის თემი; 01 ქუჩა N123
ახალსოფლის თემი; 01 ქუჩა N124
ახალსოფლის თემი; 01 ქუჩა N125
ახალსოფლის თემი; 01 ქუჩა N126
ახალსოფლის თემი; 01 ქუჩა N127

ახალსოფლის თემი; 17 ქუჩა N7
ახალსოფლის თემი; 17 ქუჩა N8
ახალსოფლის თემი; 17 ქუჩა N9
ახალსოფლის თემი; 18 ქუჩა N1
ახალსოფლის თემი; 18 ქუჩა N10
ახალსოფლის თემი; 18 ქუჩა N11
ახალსოფლის თემი; 18 ქუჩა N12
ახალსოფლის თემი; 18 ქუჩა N2
ახალსოფლის თემი; 18 ქუჩა N3
ახალსოფლის თემი; 18 ქუჩა N4
ახალსოფლის თემი; 18 ქუჩა N5
ახალსოფლის თემი; 18 ქუჩა N6
ახალსოფლის თემი; 18 ქუჩა N7
ახალსოფლის თემი; 18 ქუჩა N8
ახალსოფლის თემი; 18 ქუჩა N9

საკრებულოს თავმჯდომარე

მამუკა ქარდავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N40

2013 წლის 27 ივნისი

ქ. ხობი

„ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 25 ივნისის N12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად:

1. „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 25 ივნისის N12 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულებით დამტკიცებული კომისიის შემადგენლობა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. მერაბ სილოგავა
2. ნანა ქვარაია
3. პაატა სიჭინავა
4. ზურაბ ალანია
5. ირაკლი ნადარაია
6. თენგიზ აბაკელია

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ფოთი აღმაშენებლის ქ. №3).

საკრებულოს თავმჯდომარე

მამუკა ქარდავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N41

2013 წლის 27 ივნისი

ქ. ხობი

„ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 25 ივნისის N13 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 25 დეკემბრის №109 დადგენილების შესაბამისად;

1. „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 25 ივნისის N13 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის შემადგენლობა ჩამოყალიბდეს შემდეგი შემადგენლობით:

1. ბორის ჯიქია
2. თემურ გულუა
3. ფელიქს კვარაცხელია
4. კახა ნადარაია
5. ლაშა ცატავა
6. ბადრი ბერაია
7. გოჩა ქაჯაია
8. მურმან შელია
9. გია ქაცარავა
10. ვლადიმერ სერგია
11. რომეო ლატარია
12. პაატა სიჭინავა

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ფოთი აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

მამუკა ქარდავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N42
2013 წლის 27 ივნისი
ქ. ხობი

„ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა (სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, მშენებლობა, ვაჭრობა, მომსახურება, ინფრასტრუქტურა, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვა) კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 25 ივნისის N15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 25 დეკემბრის №109 დადგენილების შესაბამისად;

2. „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა (სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, მშენებლობა, ვაჭრობა, მომსახურება, ინფრასტრუქტურა, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვა) კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 25 ივნისის N15 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა (სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, მშენებლობა, ვაჭრობა, მომსახურება, ინფრასტრუქტურა, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვა) კომისიის შემადგენლობა ჩამოყალიბდეს შემდეგი შემადგენლობით:

1. ბორის ბერაია
2. გოჩა ქაჯაია
3. თემურ გულუა
4. კახა ნადარაია
5. მანანა შულაია
6. მანუჩარ ბუკია
7. ლაშა ცატავა
8. მურმან შელია
9. ვლადიმერ სერგია
10. რომეო ლატარია

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ფოთი აღმაშენებლის ქ. №3).

საკრებულოს თავმჯდომარე

მამუკა ქარდავა



**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N43
2013 წლის 27 ივნისი
ქ. ხობი**

**„საწვავისა და ფიჭური სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 28 თებერვლის N8 განკარგულებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 25 დეკემბრის N109 დადგენილების შესაბამისად:

4. „საწვავისა და ფიჭური სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 28 თებერვლის N8 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) განკარგულების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების, საკრებულოს წევრებისა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთათვის ფიჭური სატელეფონო მომსახურების (კორპორაციული საავანსო ნომრების) ხარჯების ლიმიტი თანახმად N3 დანართისა.“

ბ) განკარგულების დანართი N2 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი N2

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2013 წლის 28 თებერვლის N8 განკარგულებისა

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის საწვავის ხარჯების ლიმიტი

N	მხარჯავი სუბიექტების დასახელება	ლიმიტი თვეში (ლიტრი)		ლიმიტი წელიწადში (ლიტრი)	
		ბენზინი	დიზელი	ბენზინი	დიზელი
1.	გამგებელი	1000	-	12000	-
2.	გამგებლის მოადგილეები, მათ შორის:	600	300	7200	3600
	გამგებლის მოადგილე (ეკონომიკისა და საფინანსო-საბიუჯეტო საკითხებში)	-	300	-	3600
	გამგებლის მოადგილე (შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და კულტურის საკითხებში)	300	-	3600	-
	გამგებლის მოადგილე (მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების საკითხებში)	300	-	3600	-
3.	გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური	200	-	2400	-
4.	გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური	300	-	3600	-
5.	გამგეობის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახური	-	390	-	4680

6.	გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახური	290	350	3480	2400
7.	სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების შესრულების კონტროლის ჯგუფი	-	200	-	2400
8.	მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოები	1100	-	13200	-“

გ) განკარგულების დანართი N3 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი N3
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2013 წლის 28 თებერვლის N8 განკარგულებისა

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების, საკრებულოს წევრებისა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთათვის ფიჭური სატელეფონო მომსახურების (კორპორაციული სააფანსო ნომრების) ხარჯების ლიმიტი

N	მხარჯავი სუბიექტების დასახელება	ლიმიტი თვეში (ლარი)	ლიმიტი წელიწადში (ლარი)
19.	საკრებულოს თავმჯდომარე	50	600
20.	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	35	420
21.	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	30	360
22.	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	30	360
23.	საკრებულოს წევრი	25	300
24.	საკრებულოს აპარატის უფროსი	25	300
25.	საკრებულოს აპარატის განყოფილების უფროსი	15	180
26.	უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი	10	120

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

მამუკა ქარდავა



**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N44
2013 წლის 11 ივლისი
ქ. ხობი**

**ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის
მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 45-ე მუხლის მე-6 და მე-8 ნაწილების და 46-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილების შესაბამისად:

1. საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით საარჩევნო სუბიექტებისთვის ამომრჩევლებთან შეხვედრების, კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიებისთვის გამოიყოს ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები:

ა) ქ. ხობში:

ა.ა) ხობის კულტურის სახლი;

ა.ბ) ხობის ცენტრალური ბიბლიოთეკა;

ბ) ახალი ხიბულის თემში - ახალი ხიბულის კლუბის შენობა;

გ) ბიის თემში - ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობა;

დ) ზემო ქვალონის თემში - ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობა;

ე) თორსა-დღვანის თემში - ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობა;

ვ) პირველი მაისის თემში - პირველი მაისის კლუბის შენობა;

ზ) საჯიჯაოს თემში - საჯიჯაოს კულტურის სახლი;

თ) ქარიატის თემში - ქარიატის კლუბის შენობა;

ი) ქვემო ქვალონის თემში - ქვემო ქვალონის კულტურის სახლი;

კ) შუა ხორგის თემში - ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობა;

ლ) ჭალადიდის თემში - ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობა;

მ) ხეთის თემში - ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობა;

ნ) სოფელ პატარა ფოთში - ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობა;

ო) სოფელ პირველ ხორგაში - პირველი ხორგის კლუბის შენობა;

პ) სოფელ საგვიჩოში - ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობა;

ჟ) სოფელ ყულევში - ყულევის კლუბის შენობა;

რ) სოფელ ძველ ხიბულაში - ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობა.

2. ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების გარე იერსახის დამახინჯებისა და საარჩევნო ატრიბუტიკის (პლაკატები, ლოზუნგები და სხვა) შეუფერებელ ადგილებში განთავსების აღკვეთის მიზნით, ქ. ხობის ტერიტორიაზე შექმნილ საარჩევნო უბნებში

საარჩევნო სუბიექტების სარეკლამო პლაკატები განთავსდეს სპეციალურად მოწყობილ სტენდებზე:

- ა) N66.01 საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე - ცოტნე დადიანის ქუჩაზე საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებასთან და დავით აღმაშენებლის ქუჩაზე კოსტავას ქუჩის გადაკვეთასთან;
- ბ) N66.02 საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე - ცოტნე დადიანის ქუჩაზე რესტორან „ლიმილთან“ და ცოტნე დადიანის ქუჩაზე გოგებაშვილის ქუჩის გადაკვეთასთან;
- გ) N66.03 საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე - ჭყონდიდელის ქუჩის დასაწყისში, 9 აპრილის ხეივანთან და ჭყონდიდელისა და 26 მაისის ქუჩების გადაკვეთაზე;
- დ) N66.28 საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე - ცოტნე დადიანის ქუჩაზე კოლხეთის დასახლების შესახვევთან და სტალინის ქუჩაზე რუსთაველის ქუჩის გადაკვეთასთან.

3. მუნიციპალიტეტის თემებსა და სოფლებში არსებულ საარჩევნო უბნებში საარჩევნო სუბიექტების სარეკლამო პლაკატების განსათავსებლად გამოყენებულ იქნეს იქ არსებული ნებისმიერი შენობა-ნაგებობა, გარდა კანონმდებლობით აკრძალულისა.

4. აიკრძალოს ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის მორიგ არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების სარეკლამო პლაკატების განთავსება საკულტო ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სასამართლოს და პოლიციის შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე.

5. დაევალოს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას (კ. ბენიძე):

- ა) საარჩევნო პლაკატების გამოსაფენად განთავსებული სტენდების მოწესრიგება,
- ბ) ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელება წინასაარჩევნო აგიტაციის, წინასაარჩევნო მოწოდებებისა და მასალების (მოწოდებების, განცხადებების, წარწერების, ფურცლების, ფოტო, სააგიტაციო დანიშნულების ავტოსატრანსპორტო და სპეციალური მოწყობილობით აღჭურვილი სხვა საშუალებები) გავრცელებაზე, პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის განთავსებაზე, სხვა წინასაარჩევნო საქმიანობებთან დაკავშირებით დადგენილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი წესრიგის დაცვაზე და უზრუნველყოს საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ დადგენილი სამართალდარღვევის ფაქტზე საჭირო სანქციების გამოყენება.

6. ეთხოვოს შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ხობის რაიონულ სამმართველოს (დ. დარასელია) წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას ამ განკარგულებით გათვალისწინებული წესების დარღვევის ფაქტების აღკვეთა.

7. დაევალოს საკრებულოს აპარატს (ლ. შამათავა) საარჩევნო სუბიექტების სარეკლამო პლაკატების განთავსებისთვის გამოყოფილი ადგილების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების უზრუნველყოფა არჩევნების დანიშნვიდან არაუგვიანეს 10 დღისა.

8. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

9. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ფოტის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).



**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N45
2013 წლის 11 ივლისი
ქ. ხობი**

„ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 30 მაისის N28 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

4. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 30 მაისის N28 განკარგულების დანართიდან ამოღებულ იქნეს პირველი პუნქტი.

5. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

6. განკარგულება შიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ფოთი აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

მამუკა ქარდავა



**ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N46
2013 წლის 11 ივლისი
ქ. ხობი**

ფრაქცია „ხოზის“ რეგისტრაციის გაუქმების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 25 დეკემბრის N109 დადგენილების შესაბამისად:

1. ცნობად იქნეს მიღებული ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2013 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება საკრებულოს ფრაქცია „ხოზის“ რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.
3. განკარგულება შიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ფოთი აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

მამუკა ქარდავა



**ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N47
2013 წლის 26 აგვისტო
ქ. ხობი**

შპს „ხოზი დასუფთავება და განათება“ დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 28 თებერვლის N88 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად:

1. „შპს „ხოზი დასუფთავება და განათება“-ს დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 28 თებერვლის N88 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) განკარგულების დანართის პირველი მუხლის 1.6. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.6. საზოგადოების საქმიანობის საგანი

საზოგადოების საქმიანობის საგანია:

ა) ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება, დასახლებული ტერიტორიებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა და დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის ამოღება;

ბ) ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების უზრუნველყოფა;

გ) ქ. ხობის ტერიტორიაზე არსებული საკანალიზაციო ქსელის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

დ) სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესრულება;

ე) ბუნების დაცვითი საქმიანობა;

ვ) ყველა სახის, მათ შორის მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურება;

ზ) საზოგადოების უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებული, ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მოვლა-პატრონობა.“

ბ) განკარგულების დანართის მე-2 მუხლის 2.2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.2. საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შეადგენს **1641331,90** ლარის ღირებულების ქონებას, კერძოდ:

	დასახელება	მოდელი	რაოდენობა	ფასი (ლარი)
1.	სპეციალიზებული ა/მ ნაგავმზიდი „DAF“	AAS75PCA	1	95 000
2.	სპეციალური ა/მ „ჟირაფი“	CA1041K2612R5	1	60 000
3.	მოტოროლერი ბორტიანი - „KEVESEKI“	HF150ZH-2	2	8 000
4.	ნაგვის კონტეინერი (120 ლიტრიანი)		20	2 400
5.	ნაგვის კონტეინერი (240 ლიტრიანი)		150	27 000
6.	ნაგვის კონტეინერი (50 ლიტრიანი)		250	20 000
7.	მავთულბადე		40 მ	386
8.	ლინოლიუმი „სანტა მარია“		1	3593,1
9.	საახალწლო განათება „ფარდა“		25	12367,0
10.	ნაძვის ხის მოსართავი		50	1045,0
11.	ნაძვის ხის მოსართავი		50	5994,0
12.	ასენიზაციის მანქანა	gaz 53-19	1	14500
13.	ტრაქტორი ბორტიანი	1PTC-2	1	8400
14.	ნაძვის ხე		1	34600
15.	ნაძვის ხის მოსართავი „ბაბთა“		3	660

16.	ნამვის ხის მოსართავი „ზარი“		71	3727,5
17.	ნამვის ხის მოსართავი „ბურთი“		54	2430
18.	ნამვის ხის მოსართავი „ბურთი“		73	3832,5
19.	ნამვის ხის კენწერო		1	300
20.	მანათობელი გირლანდები		32	9960
21.	ნამვის ხის კონტროლიორი		1	584
22.	საახალწლო განათება „ფარდა“	mitn 72-04	30	8655
23.	საახალწლო განათება („ანგელოზები“)		25	16576
24.	საახალწლო განათება „ბეთლემის ვარსკვლავი“		17	1832
25.	საახალწლო განათება (მცირე ზომის „ანგელოზები“)		2	140,6
26.	შადრევანი		1	183068,8
27.	ტრანსფორმატორი		1	5370
28.	სანათი SKY-HPG		4	1756
29.	ჰალოგენური ნათურები		4	56
30.	სანათი - AK3004A		4	72
31.	ტრანსფორმატორი		1	114
32.	გარე განათების ბოძები და სადენები (ქ. ხობი, კოლხეთის დასახლების შესასვლელიდან სოფელ პირველი მაისის ცენტრამდე)		95	33090
33.	გარე განათების ბოძები და სადენები (ქ. ხობი. ჭყონდიდელის ქუჩა)		25	3691
34.	გარე განათების ბოძები და სადენები (ქ. ხობი. კოსტავას და აღმაშენებლის ქუჩები)		47	7373
35.	გარე განათების ბოძები და სადენები (ქ. ხობი. რუსთაველის ქუჩა)		20	7111
36.	გარე განათების ბოძები და სადენები (ქ. ხობი ჭავჭავაძის ქუჩა)		34	10936
37.	გარე განათების ბოძები და სადენები (ქ. ხობი. ცოტნე დადიანისა და სტალინის ქუჩის მიმდებარე სკვერის განათება)		29	26765
38.	გარე განათების ბოძები და სადენები - ადმინისტრაციული შენობის მინათება (ქ. ხობი. ცოტნე დადიანის ქუჩა N189)		38	2555
39.	გარე განათების ბოძები და სადენები - ადმინისტრაციული შენობის მინათება (ქ. ხობი. ცოტნე დადიანის ქუჩა N185)		36	1843
40.	გარე განათების ბოძები და სადენები (ქ. ხობის ცენტრის განათება)		90	16465
41.	გარე განათების ბოძები და სადენები (ქ. ხობი სტალინის ქუჩა)		10	3774
42.	გარე განათების ბოძები და სადენები (სოფელ ნოჯიხევის ცენტრის განათება)		25	13508
43.	გარე განათების ბოძები და სადენები (სოფელ შუა ხორგის განათება)		14	7487
44.	გარე განათების ბოძები და სადენები (სოფელ ახალსოფლის განათება)		24	11119
45.	გარე განათების ბოძები და სადენები (სოფელ პატარა ფოთის განათება)		14	6063
46.	გარე განათების ბოძები და სადენები (სოფელ საგვიჩიოს განათება)		14	6173
47.	გარე განათების ბოძები და სადენები (სოფელ ჭალადიდის განათება)		45	17758
48.	გარე განათების ბოძები და სადენები (სოფელ საჯიჯაოს (გალმა საჯიჯაო) განათება)		32	6409
49.	გარე განათების ბოძები და სადენები (სოფელ ქვემო		33	16016

	ქვალონის განათება)			
50.	გარე განათების ბოძები და სადენები (სოფელ ზემო ქვალონის განათება)		17	5386
51.	გარე განათების ბოძები და სადენები (სოფელ პირველი ხორგის ცენტრის განათება)		14	7601
52.	გარე განათების ბოძები და სადენები (სოფელ გურიფულის განათება)		10	5676
53.	გარე განათების ბოძები და სადენები (სოფელ თორსა -დღვაბის ცენტრის განათება)		11	4623
54.	გარე განათების ბოძები და სადენები (სოფელ თორსა-დღვაბა-ზუგდიდის მონაკვეთის განათება)		147	174809
55.	მაღალი განათება (მდინარე ხობის ხიდიდან მდინარე მუნჩიის ხიდამდე)		197	215167
56.	სოფელ ნოჯიხევის ხარების დედათა მონასტრის მისასვლელი გზის დაბალი განათება		14	23000
57.	ქ. ხობში ყაზბეგის ქუჩის განათება		13	2706
58.	ქ. ხობში აღმაშენებლის ქუჩის განათება		42	2457
59.	ქ. ხობში ქაჯაიასა და 26 მაისის ქუჩის განათება		38	4457
60.	ელ.განათება სენაკი-ხობის მონაკვეთზე		215	367680
61.	სოფელ ბიის განათება		15	3500
62.	სოფელ ყულევის განათება		49	16017
63.	სოფელ ქარიატის განათება		10	5239
64.	სოფელ ახალი ხიბულის ცენტრის განათება		65	20267
65.	სოფელ საჯიჯაოს ცენტრის განათება		20	10243
66.	სოფელ ხეთის განათება		83	28576
67.	მინათების მძლავრი გასანათებელი ხელსაწყო		31	1495
68.	ელექტრული სანათი („პლავონი“)	თეთრი	62	434
69.	ელექტროსადენი	(2X25)	2000	120
70.	ელექტროსადენი	(2X1)	2000	220
71.	საახალწლო განათების მოწყობილობა („ეჟექტორი“)		20	120
72.	სპილენძის მავთულის კოჭა („დროსელი“)	250 კვ.	20	360
73.	მძლავრი გასანათებელი ხელსაწყო („პროექტორი“)	თეთრი ნათურა 150 კვ.	10	250
74.	საახალწლო განათება „ ფარდა“	ზომით დაახლოებით 3X 0.5	36	3240
75.	საახალწლო განათება - კომპოზიცია „ლოლო“	3 გრძ.მ	12	1080
76.	საახალწლო განათება - „მორბენალი ფარდა ფიფქებით“	ზომით დაახლოებით 3X 0.8	36	5040
77.	საახალწლო გირლიანდა, დიდი ბურთი	მთვარე ვარსკვლავების ეფექტით არანაკლებ 20 სმ. დიამეტრი	12	1020
78.	საახალწლო განათება - „მორბენალი ფარდა“ (ჭრელი)	ზომით დაახლოებით 3X 0.8	4	360
79.	საახალწლო ნაძვის ხის მოსართავი („სტრინგი“)	დიოდის ნათურით სიგრძით 20 მეტრი	4	120
80.	ელექტროსადენი	აპკვ 2X2.5 ალუმინი	160	80
81.	ელექტროსადენი	პკვ 2 X 1.5 სპილენძი	150	105
82.	პლასტმასის დამჭერები	პლასტმასის დამჭერი	72	360
83.	საახალწლო ნაძვის ხის მოსართავი („სტრინგი, ფარდა“)	თეთრი, ზომით 3 X 4	10	1800

84.	საკანალიზაციო სისტემა	კმ	6	116100
	სულ ჯამი			1641331,90

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

მამუკა ქარდავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N48
2013 წლის 26 აგვისტო
ქ. ხობი

ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

1. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე, თანახმად დანართისა.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ფოთი აღმაშენებლის ქ . N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

მამუკა ქარდავა

სარგებლობის უფლებით გადასაცემი ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება

N	შენობის დასახელება	მისამართი	სართული	სარგებლობის ფორმა	შენობის საერთო ფართი	შენობის საბალანსო ღირებულება (ლარი)	გასაიჯარებელი ფართი	1 კვ.მ ფართის ღირებულება (ლარი)	ქონების გასხვების ვადა (წელი)	იჯარის ქირის განაკვეთი %	საიჯარო ქირა 1კვ.მ (წლიური)
1	ადმინისტრაციული შენობა	ცოტნე დადიანის №188	პირველი სართული	იჯარა	984	67147	77,83	68,24	5	20	13,65

საკრებულოს თავმჯდომარე

მამუკა ქარდავა



ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N49
2013 წლის 26 აგვისტო
ქ. ხობი

ხობის მუნიციპალიტეტის ზემო ქვალონის თემის ტერიტორიაზე
არსებული ქუჩების სახელდების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ საქართველოს კანონისა და გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის სამთავრობო კომისიის 2013 წლის 18 ივნისის N18 დასკვნის საფუძველზე:

